2018 წ. 1 იანვრიდან ამოქმედებული მნიშვნელოვანი ცვლილებები

დამსაქმებლის განაცხადი/დეკლარაცია უცხოელის დასაქმებაზე:

- ვრცელდება საქმიანობათა ისეთ ქვეკლასზე, რომლებსაც არ ითვალისწინებს სეზონური სამუშაო ნებართვა;
- დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმების სამსახურს აცნობოს უცხოელის მიერ მუშაობის დაწყების (არა უგვიანეს სამუშაოს დაწყების დღისა) ან არ დაწყების ფაქტის შესახებ (განაცხადში მითითებული მუშაობის დაწყების თარიღიდან 7 დღის ვადაში);
- სამუშაოს შესრულების პერიოდების გაანგარიშებისას, მხედველობაში მიიღება დარეგისტრირებულ განაცხადში მითითებული პერიოდები. აქედან გამომდინარე, თუ შესასრულებელ სამუშაოს ვადაზე ადრე დასრულებთ, ვიდრე განაცხადშია მითითებული, აუცილებელია აღნიშნულის შესახებ აცნობოთ დასაქმების სამსახურს. ამის გაკეთება შეგიძლიათ როგორც თქვენ პირადად, ასევე თქვენს დამსაქმებელს. **ყურადღება!**: არასწორი ინფორმაციის მიწოდება ისჯება ფულადი ჯარიმით.

სამუშაო განაცხადის/დეკლარაციის (6 თვე 12 თვის განმავლობაში) ან სეზონურ სამუშაოზე გაცემული ნებართვის საფუძველზე (9 თვე კალენდარული წლის განმავლობაში) მუშაობისას, შეგიძლიათ სამსახურის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში, ახალმა დამსაქმებელმა თქვენთვის სამუშაო ნებართვა ახლად უნდა დაარეგისტრიროს.

ნებართვა სეზონურ სამუშაოზე:

- იძლევა სეზონურ სამუშაოთა კატალოგში შესული პროფესიების შესრულების უფლებას;
- **კალენდარული წლის განმავლობაში** შეგიძლიათ იმუშაოთ არაუმეტეს 9 თვის ვადით. პოლონეთში სეზონურ სამუშაოზე დასაქმების მიზნით ჩასვლისას, ვადის ათვლა იწყება შენგენის ზონაში შესვლის დღიდან;
- დამსაქმებელი ვალდებულია, პოლონეთის ტერიტორიაზე თქვენი ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი გადასცეს დასაქმების სამსახურს, აცნობოს თქვენი ჩამოსვლის შესახებ და მიაწოდოს პოლონეთში თქვენი საცხოვრებელი ადგილის შესახებ ინფორმაცია და თქვენი ბინადრობის ნებართვის ასლი. მხოლოდ ამის შემდეგ გასცემს დასაქმების სამსახური ნებართვას სეზონური სამუშაოს შესრულებაზე. მუშაობის დაწყება ნებადართულია ნებართვის მიღების მოლოდინის პერიოდშიც, თქვენი ჩამოსვლის შესახებ დასაქმების სამსახურისათვის შეტყობინების შემთხვევაში. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, სამუშაო უნდა შესრულდეს დასაქმების სამსახურში დამსაქმებლის მიერ დარეგისტრირებული განაცხადის საფუძველზე გაცემულ ცნობაში მითითებული პირობების გათვალისწინებით.

ნებართვა სეზონური სამუშაოს შესრულებაზე განკუთვნილია ყველა ქვეყნის მოქალაქისათვის, გარდა ევროკავშირისა და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის წევრი ქვეყნებისა. უცხოელის დასაქმების შესახებ განაცხადი კი გათვალისწინებულია სომხეთის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებისათვის.

განურჩევლად იმისა, თუ შრომის ბაზარზე ლეგალურად დასაქმებისთვის რა დოკუმენტს ფლობთ:

- შრომითი კონტრაქტი თქვენსა და დამსაქმებელს შორის უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით;
- დამსაქმებელი ვალდებულია, გადმოგცეთ კონტრაქტის თარგმანი თქვენთვის გასაგებ ენაზე;
- დამსაქმებელი ვალდებულია, დასაქმებიდან 7 დღის ვადაში, თქვენი დასაქმების შესახებ აცნობოს საყოველთაო სოციალური და ჯანმრთელობის დაზღვევის სამსახურებს, რაც მოგცემთ ავადმყოფობის, სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევის ან ორსულობის შემთხვევაში, სოციალური და სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლებას (აღნიშნული არ ეხება სპეციფიური სამუშაოს განხორციელებისათვის დადებულ კონტრაქტს);
- დამსაქმებელი ვალდებულია, შეამოწმოს ქვეყანაში თქვენი ლეგალურად ყოფნის დამადასტურებელი საბუთის მოქმედების ვადა და დაიტოვოს მისი ასლი.

შრომითი კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში, უფლება გაქვთ, მიიღოთ შრომის ანაზღაურება სულ მცირე პოლონეთში განსაზღვრული მინიმალური ანაზღაურების ოდენობით (2018 წლიდან პოლონეთში მინიმალური დასაბეგრი ანაზღაურება შეადგენს 2100 ზლოტს); პოლონეთში მინიმალური საათობრივი ანაზღაურების დასაბეგრი ტარიფი 2018 წლიდან განისაზღვრება 13,70 ზლოტის ოდენობით. (აღნიშნული ეხება შრომით კონტაქტს, და არა სპეციფიური სამუშოების შესრულებისათვის დადებულ კონტრაქტს);

იზრუნეთ თქვენს უსაფრთხოებაზე!

არავის გადასცეთ თქვენი პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

უფლება გაქვთ, დამსაქმებლისგან მიიღოთ სამუშაო ნებართვის, სამუშაო განაცხადის ან დასაქმების სამსახურში თქვენი დასაქმების სურვილის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის დამადასტურებელი ცნობის ასლი;

გაფრთხილდით! არ ენდოთ არალეგალურ შუამავლებს;

შეამოწმეთ თქვენი დამსაქმებელი (შეგიძლიათ ტელეფონით დაუკავშირდეთ დამსაქმებელს, გადაამოწმოთ მისი ფირმის შესახებ ინფორმაცია ინტერნეტში ან საჯარო რეესტრის ბაზებში. კომპანიის REGON-ის ნომრის მიხედვით შეგიძლიათ შეამოწმოთ ვებ-გვერდზე: www.stat.gov.pl/regon/; ხოლო KRS-ის ნომრის მიხედვით: www.krs-online.com.pl);

თუ თქვენი დამსაქმებელი პოლონური შუამავალი დასაქმების სააგენტოა, ვებ-გვერდზე: stor.praca.gov.pl შეამოწმეთ, ფლობს თუ არა იგი სავალდებულო სერტიფიკატს.

Ministerstwo Rodziny, Pracy i Polityki Społecznej

პოლონეთის ოჯახის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო

სამუშაო პოლონეთში ინფორმაცია უცხოელთათვის

(არ ეხება ევროკავშირის, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობისა და შვეიცარიის მოქალაქეებს)

ამოქმედებული ძირითადი წესები
2018 წ. 1 იანვრიდან

დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე: www.mrpips.gov.pl

იმისთვის, რომ უცხოელი პოლონეთში ლეგალურად დასაქმდეს, საჭიროა:

ფლობდეს დოკუმენტს, რომელიც პოლონეთის შრომის ბაზარზე ლეგალურად დასაქმების უფლებას იძლევა (ან გათავისუფლებული უნდა იყოს ამ ვალდებულებისაგან კონკრეტული საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე);

ლეგალურად იმყოფებოდეს პოლონეთის ტერიტორიაზე შესაბამისი ვიზის ან ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, რომელიც ამავდროულად მუშაობის უფლებას იძლევა;

შეასრულოს სამუშაო დამსაქმებლის დეკლარაციასა და სამუშაო ნებართვაში მითითებული პირობების შესაბამისად;

დადოს შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება დამსაქმებელთან.

უცხოელს შეუძლია იმუშაოს მხოლოდ იმ დამსაქმებელთან, რომელიც ნებართვაში/დეკლარაციაშია მითითებული!

პოლონეთში არალეგალურად მუშაობას ან არალეგალურად ცხოვრებას შესაძლოა სერიოზული შედეგები მოჰყვეს, კერძოდ: ფულადი ჯარიმა ან ქვეყნიდან გაძევება. ქვეყნიდან გაძევების შესახებ გადაწყვე-ტილება შედეგად გამოიწვევს პირის მონაცემების პოლონეთის არასასურველ პირთა სიაში და ასევე შენგენის საინფორმაციო სისტემაში შეტანას, რაც მომავალში ქვეყანაში შეშვებაზე უარის თქმის მიზეზია და შეუძლებელს გახდის შენგენის სივრცეში ხელმეორედ შესვლას.

პოლონეთის შრომის ბაზარზე დასაქმებისთვის საჭირო დოკუმენტები/ ნებართვები

- შრომის ნებართვა – გასცემს ვოევოდა **დამსაქმებლის განაცხადის საფუძველზე**;

არსებობს 5 ტიპის სამუშაო ნებართვა:

A – როდესაც უცხოელი დასაქმებულია კომპანიაში, რომელიც საქმიანობას პოლონეთის ტერიტორიაზე ეწევა;

B – როდესაც უცხოელი ასრულებს კომპანიის გამგეობის წევრის, კომანდიტური საზოგადოების სრული პარტნიორის ან რწმუნებულის ფუნქციას;

C, D, E – როდესაც უცხოელი მივლინებულია სამუშაოდ პოლონეთში.

- **S** ტიპის ნებართვა სეზონურ სამუშაოზე (ძალაშია 2018 წ. 1 იანვრიდან) გაიცემა **დამსაქმებელის განაცხადის** საფუძველზე სტაროსტას მიერ და უცხოელს აძლევს უფლებას, შეასრულოს სეზონური ხასიათის სამუშაო კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 9 თვის ვადით. (**შენიშვნა** – არსებობს განსხვავება პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელისა და საზღვარგარეთიდან ჩამოსული უცხოელის სტატუსების შემთხვევაში).

სეზონური სამუშაოს შესრულება შესაძლებელია <u>მხოლოდ</u> სეზონურ სამუშაოზე გაცემული შრომითი ნებართვის საფუძველზე!

- **უცხოელის დასაქმების შესახებ განაცხადს** (ცვლილებები ძალაშია 2018 წ. 1 იანვრიდან), **არეგისტრირებს დამსაქმებელი** პოვიატის დასაქმების სამსახურში სომხეთის, ბელარუსის, საქართველოს, მოლდოვას, რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეებისათვის. აღნიშნული დოკუმენტი სამუშაო ნებართვის გარეშე იძლევა არა სეზონური ხასიათის სამუშაოების შესრულების უფლებას 6 თვის ვადით მომდევნო 12 თვის განმავლობაში;
- უცხოელის განაცხადის საფუძველზე ვოევოდას მიერ გაცემული დროებითი ბინადრობის და შრომის ნებართვა მის მფლობელს როგორც მუშაობის, ასევე ქვეყანაში ცხოვრების უფლებას ანიჭებს.

მნიშვნელოვანია:

- დასაქმების ინიციატორი, როგორც წესი, არის **დამსაქმებელი** (შრომის ნებართვა, ნებართვა სეზონური სამუშაოს შესრულებაზე);
- თუ დამსაქმებლის განაცხადის საფუძველზე დადებული გაქვთ შრომითი ხელშეკრულება და დამსაქმებელს სურვილი აქვს, თქვენთან თანამშრომლობა გაახანგრძლივოს, თქვენ მიერ მუშაობის დაწყებიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, შეუძლია განაცხადი შეიტანოს ვოევოდას სახელზე გამარტივებული წესით სამუშაო ნებართვის მიღების მოთხოვნით (ან თქვენ უნდა შეიტანოთ განაცხადი ბინადრობისა და სამუშაო უფლების მიღების მოთხოვნით). თუ თქვენი განაცხადი ბინადრობის ნებართვაზე სრულყოფილი იქნება, გადაწყვეტილების მიღებამდე თქვენი მუშაობა ჩაითვლება ლეგალურად, განაცხადის შეტანის დღიდან;
- თუ ხართ **სომხეთის, ბელარუსიის, საქართველოს, მოლდოვას, რუსეთის ან უკრაინის მოქალაქე და ბოლო 5 წლის განმავლობაში მოცემულ დამსაქმებელთან** გაფორმებული გქონდათ სულ მცირე ერთი **კონტრაქტი სეზონურ სამუშაოზე** და სურვილი აქვს მას, კვლავ დაგასაქმოთ სეზონურ სამუშაოებზე, აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად შეუძლია მოითხოვოს გრძელვადიანი, **მრავალსეზონური** რეგისტრაცია (რაც ნიშნავს ჩანაწერს სეზონური სამუშაოების რეესტრში მომდევნო სამი წლისათვის). ამ ჩანაწერის საფუძველზე შეძლებთ სავიზო განაცხადების შეტანას მომდევნო 3 წლის განმავლობაში. ყოველ წელიწადს სამუშაო ნებართვა ზოგადი წესების შესაბამისად გაიცემა (გაეცანით მესამე პუნქტს: *„ნებართვა სეზონურ სამუშაოებზე“*).
- პოლონეთში შრომითი ურთიერთობა შესაძლებელია დამყარდეს სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულების საფუძველზე (შრომითი ხელშეკრულება, მომსახურების ხელშეკრულება და ერთჯერადი მომსახურების კონტრაქტი). კონტრაქტის სახეობა დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს ხასიათზე, ასევე მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. **დასაქმებული პირის უფლებების ყველაზე ფართოდ დაცვას უზრუნველყოფს შრომითი ხელშეკრულება**.

შრომის სახელმწიფო ინსპექცია გასცემს უფასო კონსულტაციებს და ინფორმაციას შრომითი უფლებებისა და ლეგალური დასაქმების სფეროში. განიხილავს დასაქმებულ პირთა საჩივრებს დამსაქმებლის მიერ შრომითი უფლებების, შრომითი უსაფრთხოებისა და ჰიგიენის ნორმების დარღვევისა და არალეგალური დასაქმების ფაქტების თაობაზე. შრომის ინსპექციების საოლქო და ადგილობრივი სამსახურების საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება შეგიძლიათ ვებ-გვერდზე: www.pip.gov.pl